სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 ოქტომბერი, 2024 წელი

ბრძანება № 01-02/180

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) პროფესიული სტუდენტის ირაკლი მახარაძისათვის განმეორებითი შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 26 ოქტომბრის N01-08/935 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფების შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 30 აგვისტოს N01-02/151 ბრძანების, **,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“** (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ“** ბსუ-ს რექტორის მოველეობის შემსრულებლის 2024 წლის 06 სექტემბრის N01-02/154 ბრძანების, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის ლევან ტარიელაძის 2024 წლის 11 სექტემბრის N1102849 და 2024 წლის 09 ოქტომბრის N1297687 სამსახურებრივი ბარათების, ირაკლი მახარაძის 2024 წლის 01 ოქტომბრის N1248404 განცხადების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 10 ოქტომბრის №1305487 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“** (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიული სტუდენტის ირაკლი მახარაძისათვის განმეორებითი** შეფასების მიზნით შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია და განისაზღვროს შეფასების ჩატარების დრო და ადგილი, კერძოდ:

1.1. **შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **თამთა ბერიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ბ) **დარინა დუმბაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი;
გ) **დარინა აბუსელიძე** - დამსაქმებელი - შპს ,,ნიუ-ლაინ“-ის, შპს ,,რემონტი+“-ის და შპს ,,ბესტ ვიჟენ 2095“ ბუღალტერი;
დ) **ლია ქავთარაძე** - დამსაქმებელი - შპს ,,ნიკა“ მთავარი ბუღალტერი;
ე) **მედეა ჩხარტიშვილი** - დამსაქმებელი - შპს ,,ავტობანი“ - მთავარი ბუღალტერი.

1.2. **განმეორებითი შუალედური შეფასება ჩატარდეს 2024 წლის 18 ოქტომბერს 12:00 საათზე**, ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, აუდიტორია N201.

2. შუადედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით.**
3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელია) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის (ირაკლი მახარაძე) ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).
5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**